EECMD
EASTERN EUROPEAN CENTRE FOR MULTIPARTY DEMOCRACY

ინსტრუქცია თითოეული თემის შესავსებად

გთხოვთ, მოგვაწოდოთ თქვენი ხედვა ქვემოთ ჩამოთვლილ თითოეულ თემაზე, რომელმაც ქვემოთ მოცემულ კითხვებს უნდა უპასუხოს.

ზოგადი მიმართულებები:

- გთხოვთ, აღწეროთ თუ რა ძირითად პრინციპებს ეყრდნობა თქვენი მიდგომა მოცემულ თემასთან დაკავშირებით.
- გთხოვთ, აღწეროთ თუ რა ძირითად შედეგზეა ორიენტირებული თქვენი პროგრამა ამ კონკრეტულ სფეროში და შესაძლებლობის შემთხვევაში მოგვაწოდოთ ის რაოდენობრივი ინდიკატორები/მაჩვენებლები, რითაც შესაძლებელი იქნება შედეგების გაზომვა (მაგალითად: "თბილისში X პროგრამის განხორციელების შემთხვევაში, ავტოტრანსპორტის გამონაბოლქვით ჰაერის დაბინძურება სამი წლის შემდეგ, 10%-ით შემცირდება").

დაფინანსება:

- გთხოვთ, აღწეროთ თუ რა საორიენტაციო ბიუჯეტი დასჭირდება ამ ინიციატივის გატარებას.
- გთხოვთ, აღწეროთ დაფინანსების წყაროები (სახელმწიფო ბიუჯეტი, ადგილობრივი ბიუჯეტი, არსებული ბიუჯეტის სხვა მუხლების შემცირება, სესხი, გრანტი, საერთაშორისო პროგრამა და სხვა).

ვადები:

- გთხოვთ, აღწეროთ რა ვადებში და/ან რა პერიოდულობით გეგმავთ მოცემული გეგმის/ინიციატივის განხორციელებას.
- გთხოვთ, დააკონკრეტოთ თუ რა შედეგის მიღწევა გსურთ დროის განმავლობაში (წლების, თვეების ან კვარტალების მიხედვით).

თემა I - ეკონომიკური პოლიტიკა

ქალაქის ეკონომიკური პოლიტიკა გულისხმობს ძირითად ხედვას ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, როგორებიცაა ადგილობრივი გადასახადები, ქალაქის განვითარებისთვის საჭირო დამატებითი თანხების მობილიზების მექანიზმები, ქალაქის ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვა და განვითარება, არსებული ინფრასტრუქტურის ოპტიმალური გამოყენება, დამატებითი შემოსავლების მობილიზაციის მიზნით, კერძო ბიზნესთან თანამშრომლობა და ზოგადად, ქალაქის წინაშე მდგარი ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტა და ბიზნეს აქტივობისა და ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფა.

ეკონომიკური განვითარების პოლიტიკის ზოგადი პრინციპები ასე შეიძლება დავაჯგუფოთ:

- *ადგილობრივი გადასახადებისა და მოსაკრებლების პოლიტიკა, პრივატიზაცია* - ადგილობრივი გადასახადებისა და მოსაკრებლების პოლიტიკა გულისხმობს თბილისის ბიუჯეტის შესაძლო გადახალისებას და სტრატეგიული პროექტების განხორციელებას; ასევე, ადგილობრივი ბიუჯეტის დამატებითი შემოსავლის წყაროების შექმნას ახალი გადასახადების შემოღების ან არსებულის შემცირების სახით, მაგალითისთვის როგორიცაა ტურიზმის მოსაკრებელი, საჯარო მომსახურეობის მოსაკრებელი, საჯარო ადგილების მოხმარების მოსაკრებელი და სხვა. პრივატიზაცია და ქალაქის ბალანსზე არსებული ქონების ეფექტური გამოყენება გულისხმობს ქალაქის ბალანსზე არსებული გამოუყენებელი ან გამოყენებაში მყოფი ქონების რეალიზებას ან/და მის გამოყენებას მაქსიმალური შემოსავლის მისაღებად.
- *ადგილობრივი ბიუჯეტის დამატებითი შემოსავლის წყაროების შექმნა და ბიუჯეტის ზრდა* გულისხმობს შემოსავლის წყაროების ზრდის დამატებით ზომებს, მაგალითად სავალო ფასიანი ქაღალდების გამოშვებას, სესხების მობილიზებას, გრანტების მიღებას და სხვა. ასევე, ზოგადად ყველა იმ ღონისძიებას, რომელიც განსახორციელებელია დროის კონკრეტულ მონაკვეთში შემოსავლების გასაზრდელად.
- *ეფექტური მართვა:* გულისხმობს თბილისის ბიუჯეტის გარკვეული ხარჯების ცვლილებას ან/და მათ ეფექტურ ხარჯვას.

თემა II - სოციალური დანახარჯები

სოციალურ დანახარჯებს განეკუთვნება თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გასაწევი ხარჯი, რომელიც სამ: სოციალური დახმარების, ჯანდაცვის ხარჯის და განათლების ხარჯებად შეიძლება დავაჯგუფოთ.

- *სოციალური დახმარების ხარჯი* არის ისეთი საბიუჯეტო ხარჯი, რომელიც გამიზნულია მოქალაქეების ან შინამეურნეობების დასახმარებლად მათი კეთილდღეობის გაუმჯობესების და/ან შეჭირვებული მდგომარეობის შემსუბუქების მიზნით. სოციალური დანახარჯი შესაძლოა გამიზნული იყოს ბენეფიციარისათვის

უშუალოდ ფულადი სახით გადასაცემად ან კონკრეტული საქონლის ან სერვისის შესაძენად სრულად ან ნაწილობრივ (თანადაფინანსება).

- *ჯანდაცვის ხარჯს* განეკუთვნება ჯანდაცვის სერვისებისა და საქონლის უშუალო შეძენა (სრულად ან ნაწილობრივ). ეს შეიძლება იყოს ავადმყოფობის მკურნალობის ან პრევენციის ხარჯი გადახდილი სამკურნალო დაწესებულებისათვის ან პაციენტისათვის ან სადაზღვევო კომპანიისათვის. ჯანდაცვის ხარჯი შესაძლოა განკუთვნილი იყოს გარკვეული კატეგორიის მოქალაქეების ან/და გარკვეული ტიპის დაავადებების სამკურნალოდ.
- *განათლების ხარჯს* განეკუთვნება საგანმანათლებლო დაწესებულებების ფუნქციონირებაზე უშუალოდ გაწეული ხარჯი, ისევე როგორც მოსწავლეთა ან შინამეურნეობებისათვის გამოყოფილი სუბსიდიები, თუნდაც ისინი ადმინისტრირებული იყოს საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ.

თემა III - ქალაქის მმართველობა

ქალაქის მმართველობა, მნიშვნელოვან საბიუჯეტო დანახარჯებს მოითხოვს. იგი მოიცავს მუნიციპალიტეტის საჯარო მმართველობის მიზნებისთვის შექმნილ სტრუქტურულ ერთეულებს, იურიდიულ პირებს, მიუხედავად მათი სამართლებრივი ფორმისა. ძირითადად გამოიყოფა მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ფუნქციის მქონე - საკრებულო და მისი სტრუქტურა; აღმასრულებელი ფუნქციის მქონე მერიის ადმინისტრაცია და საქალაქო სამსახურები, ხოლო ადმინისტრაციულ ერთეულებშია ასევე გამგეობები. მუნიციპალიტეტის ფუნქციების განსახორციელებლად ასევე შექმნილია და შესაძლოა შეიქმნას საჯარო და კერძო სამართლის იურიდიული პირები. ასევე, მიღებული პრაქტიკაა მუნიციპალიტეტის ფუნქციის დელეგირება კონკურსის გზით (ე.წ Outsourcing). უფრო დეტალურად ქალაქის მმართველობა მოიცავს შემდეგ მიმართულებებს:

- *ქალაქ თბილისის საკრებულო* მოიცავს: საკრებულოს აპარატის სტრუქტურას და ფუნქციათა განაწილებას, მომუშავეთა რიცხოვნობას, შრომის ანაზღაურებას, საკრებულოს აპარატის საქონელსა და მომსახურებაზე, სოციალურ უზრუნველყოფაზე გასაწევ და სხვა ხარჯებს.
- *ქალაქ თბილისის მერიის ადმინისტრაცია* მოიცავს: მერიის ადმინისტრაციის სტრუქტურას და ფუნქციათა განაწილებას, საქალაქო სამსახურების მომუშავეთა რიცხოვნობას, შრომის ანაზღაურებას, მერიის ადმინისტრაციის და საქალაქო სამსახურების საქონელსა და მომსახურებაზე, სოციალურ უზრუნველყოფაზე გასაწევ და სხვა ხარჯებს.
- *ქალაქ თბილისის რაიონული გამგეობები* მოიცავს: ქალაქ თბილისის რაიონული გამგეობების სტრუქტურას და ფუნქციათა განაწილებას, მომუშავეთა რიცხოვნობას, შრომის ანაზღაურებას, ქალაქ თბილისის რაიონული გამგეობების საქონელსა და მომსახურებაზე, სოციალურ უზრუნველყოფაზე გასაწევ და სხვა ხარჯებს.

- *ქალაქი თბილისის დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირები.* მოიცავს: ქალაქ თბილისის დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირების სტრუქტურას და ფუნქციათა განაწილებას, მომუშავეთა რიცხოვნობას, შრომის ანაზღაურებას, ქალაქ თბილისის დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირების საქონელსა და მომსახურებაზე, სოციალურ უზრუნველყოფაზე გასაწევ და სხვა ხარჯებს.
- *ფუნქციათა ჩამონათვალი რომელიც შეიძლება განხორციელდეს ე.წ Outsourcing* ფორმით.

თემა IV - ურბანული/საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურა

ურბანული ინფრასტრუქტურა წარმოადგენს ურთიერთდაკავშირებულ ქსელებსა და სისტემებს, რომლებიც მოიცავენ გარკვეულ სექტორებს, ინსტიტუციებს და გადანაწილების შესაძლებლობებს, გარკვეული პროდუქტებითა და მომსახურებით საიმედო უზრუნველყოფის მიზნით. ეს ინფრასტრუქტურა მრავალნაირია და იგი სასიცოცხლოა ქალაქის გამართული ფუნქციონირებისათვის ნებისმიერ სფეროში, როგორ მმართველობის ყველა დონეზე, ისე მთლიანად საზოგადოებისათვის. გამართულ ინფრასტრუქტურაში ინვესტირება, მისი მოვლა-პატრონობა და განვითარებაში ხელშეწყობა წარმოადგენს მთავრობის უმნიშვნელოვანეს ფუნქციას. ეს არის ინვესტიცია, რომელსაც გააჩნია მრავალმხრივი ეფექტი ცხოვრების დონეზე და მოაქვს სოციალური, ეკონომიკური და გარემოზე ზემოქმედებითი შედეგები.

არასათანადოდ განვითარებული ან მოვლილი ინფრასტრუქტურა იწვევს ჯანდაცვით და ეკონომიკურ დანაკარგებს, ხშირად დამანგრეველსაც. გამართული ინფრასტრუქტურა არის მდგრადად განვითარებადი, ხანგრძლივ პერსპექტივაში ეკონომიკურად ძლიერი და სოციალურად ჯანსაღი საზოგადოების, ისევე როგორც მრავალმხრივ მიმზიდველი ქალაქის ჩამოყალიბების საწინდარი. ყოველი ქალაქის მიზანია ენერგოდამზოგავი ინფრასტრუქტურის განვითარება და ჯანმრთელი საცხოვრებელი გარემოს შექმნა.

ურბანული/საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურა შეიძლება დაიყოს ტექნიკურ და სოციალურ ინფრასტრუქტურად. ტექნიკური ინფრასტრუქტურა მოიცავს საინჟინრო და საკომუნიკაციო ნაწილს. სოციალური კი ჯანდაცვითი, საგანმანათლებლო, საცხოვრებელი, სპორტული და კულტურული დანიშნულების ობიექტებს.

ტექნიკური ინფრასტრუქტურის დანახარჯები (ისევე როგორც სოციალური) შესაძლოა იყოს მუნიციპალიტეტის მიერ დამოუკიდებლად შექმნილი ინფრასტრუქტურისთვის გაწეული ხარჯი ან საჯარო-კერძო თანამშრომლობის ფარგლებში მუნიციპალიტეტის მიერ გაწეული ხარჯი ან ამ ხარჯის გაწევის აღებული ვალდებულება. ასევე, გაცემული გარანტია, რომელიც გარკვეული ალბათობით შესაძლოა გადაიქცეს ფისკალურ ვალდებულებად.

სოციალურ ინფრასტრუქტურას განეკუთვნება გრძელვადიანი კაპიტალური დანახარჯები (როგორც წესი შენობა-ნაგებობები და მათი აღჭურვა) და არ განეკუთვნება სოციალურ სერვისებთან დაკავშირებული მიმდინარე ხარჯები (მაგ. მასწავლებელთა შრომის ანაზღაურება). სოციალური ინფრასტრუქტურის დანახარჯები შესაძლოა იყოს მუნიციპალიტეტის მიერ დამოუკიდებლად შექმნილი ინფრასტრუქტურისთვის გაწეული ხარჯი ან საჯარო-კერძო თანამშრომლობის ფარგლებში მუნიციპალიტეტის მიერ გაწეული ხარჯი ან ამ ხარჯის გაწევის აღებული ვალდებულება.

უფრო დეტალურად ქალაქის ურბანული და საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურა მოიცავს:

1. ტექნიკური ინფრასტრუქტურა:
    - გზები, ხიდები, გვირაბები
    - სატრანსპორტო კვანძები, გაჩერებები და ავტოსადგომები
    - სარკინიგზო და საზოგადოებრივი ტრანსპორტის მიმოსვლის საშუალებები
    - საჰაერო-სატრანსპორტო ქსელები
    - სატელეფონო კავშირები და სისტემები
    - ინტერნეტის ქსელები
    - ჰესები
    - განახლებადი ენერგიის წყაროები და სადგურები
    - ელექტრო სადგურები
    - ელექტრო-გადამცემი ხაზები
    - გეო-საინჟინრო დამცავი ნაგებობები
    - მდინარეები, კალაპოტები, წყალსაცავები
    - წყალსაქაჩი და წყალგამწმენდი დანადგარები
    - გაზმომარაგების ქსელები
    - საკანალიზაციო ქსელები და გამწმენდი ნაგებობები
    - ნაგვის გადამამუშავებელი ქარხნები და ნაგავსაყრელები
    - სახანძრო სადგურები, სპეციალური და სამაშველო ტექნიკა და აღჭურვილობა

2. სოციალური ინფრასტრუქტურა:
    - საავადმყოფოები, ჯანდაცვითი დაწესებულებები და სასწრაფო დახმარების ცენტრები
    - სკოლები, საბავშვო ბაღები და სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებები
    - საპოლიციო, სასამართლო და სასჯელ-აღსრულებით დაწესებულებები
    - სათემო, სპორტული და კულტურული დანიშნულების ობიექტები
    - სამთავრობო დაწესებულებები
    - ფოსტა
    - სოციალური, უწყებრივი ან სტუდენტთა საცხოვრებელი
    - საზოგადოებრივი პარკები და გამწვანება

თემა V - ურბანული მობილობა

ურბანული მობილობა მოიცავს ქალაქურ გარემოში გადაადგილებას და ამის სხვადასხვა საშუალებებს - ფეხით, ველოსიპედით, საზოგადოებრივი ტრანსპორტით, პირადი ავტომობილით და ა.შ. დღეს საერთაშორისო მიდგომაა მდგრადი ურბანული მობილობის სისტემების შემუშავება იმგვარად, რომ დაკმაყოფილებულ იქნას ქალაქებში გადაადგილების მოთხოვნა და ამავდროულად ყველასათვის უზრუნველყოფილ იქნას სატრანსპორტო სისტემებზე წვდომა, გაუმჯობესდეს უსაფრთხოება, შემცირდეს ჰაერის დაბინძურება, გაუმჯობესდეს ურბანული ტრანსპორტირების ხარჯთა ეფექტურობა და ზოგადად გაიზარდოს ქალაქური გარემოს მიმზიდველობა. მდგრადი მობილობა ინტეგრირებული დაგეგმვის პროდუქტია და მან უნდა უზრუნველყოს საერთო ურბანული ინფრასტრუქტურის და სივრცის თანასწორი გადანაწილება მოძრაობის ყველა მონაწილისათვის. ამისათვის, პირველ რიგში, ხდება ფეხით მოსიარულეთათვის და ველოსიპედით მოსარგებლეთათვის ინფრასტრუქტურული კეთილმოწყობა და საზოგადოებრივი ტრანსპორტის სისტემების განვითარება.

სატრანსპორტო პრობლემები ქალაქების უდიდესი გამოწვევაა. ამოცანა მდგომარეობს მობილობის პრობლემების იმგვარ გადაჭრაში, რომ იმავდროულად შემცირდეს საცობები, უბედური შემთხვევები და ჰაერის დაბინძურება. ეფექტური და მდგრადი ურბანული მობილობა მნიშვნელოვნად უწყობს ხელს სოციო-ეკონომიკური მიზნების მიღწევას, ენერგო რესურსების დაზოგვას, ეკოლოგიური მდგომარეობის და აქედან გამომდინარე მოსახლეობის ჯანმრთელობის გაუმჯობესებას. მობილობის წარმატებული პოლიტიკა აუცილებელი კომპონენტია კლიმატის ცვლილების ნეგატიური ზეგავლენის შემცირებისთვის.

თემა VI - საცხოვრებელი

საცხოვრებელი და მასზე წვდომის უფლება აღიარებულია ადამიანის უფლებათა მრავალი საერთაშორისო შეთანხმებით. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია აღიარებს ამ უფლებას, როგორც ცხოვრების ადექვატური სტანდარტის ნაწილს. ეს უფლება აღიარებულია მრავალი ქვეყნის კონსტიტუციით, მათ შორის საქართველოს. საერთაშორისო შეთანხმებები ადგენს მთავრობების მიერ გადასადგმელ ნაბიჯებს ადექვატური საცხოვრებლის უფლების სრული და პროგრესული რეალიზების უზრუნველსაყოფად, ხელშესაწყობად და დასაცავად.

ყველა დონეზე მთავრობების ამოცანას წარმოადგენს ქვეყნისა და ქალაქის მასშტაბით საცხოვრებლისა და მისი ხელმისაწვდომობის პრობლემებისადმი მიდგომების შემუშავება და შესაბამისი პოლიტიკის გატარება.

საცხოვრებელი არსებობს რამდენიმე სახის. ის შეიძლება იყოს კომერციული, სოციალური, ნაწილობრივ სუბსიდირებული, სხვადასხვა ტიპის თავშესაფრები და ა.შ. მთავრობები სახელმწიფო და ადგილობრივ დონეზე ზრუნავენ დაბალი შემოსავლის მქონე პირთა,

პენსიონერების და ახალგაზრდების, უსახლკაროების, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთათვის საცხოვრებელზე წვდომის ხელშეწყობაზე.

საცხოვრებლის პოლიტიკა მოიცავს ფინანსურ-საგადასახადო, სამშენებლო რეგულირების, სოციალური და ეკონომიკური მექანიზმების შემუშავებასა და გატარებას, რათა საცხოვრებლით მაქსიმალურად იქნას უზრუნველყოფილი მოსახლეობის ყველა ფენა. საცხოვრებლის სტანდარტების დონეზე დამოკიდებულია მოსახლეობის ჯანმრთელობა, შრომისუნარიანობა და კეთილდღეობა, საზოგადოების უსაფრთხოება და განვითარება.

საცხოვრებლის საკითხებში მოიაზრება ასევე ისტორიულ უბნებში საცხოვრებელი ფუნქციის მქონე ისტორიული მემკვიდრეობის და არქიტექტურულ-მხატვრული ღირებულებების მქონე შენობების მოვლა - რეაბილიტაცია, გამაგრება, შეკეთება, როგორც ქალაქის იერსახის და მიმზიდველობის გასაუმჯობესებლად, კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლების დასაცავად და განსავითარებლად, ასევე საცხოვრებელი პირობების და სოციალურ-ეკონომიკური ფონის გასაუმჯობესებლად.

საცხოვრებლის დანახარჯებს განეკუთვნება თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გასაწევი ხარჯი, რომელიც გამიზნულია ახალი საცხოვრებლის შექმნის, ან არსებულის მოდერნიზაციისა (მ.შ.არსებულის დანგრევის) და რეაბილიტაციისთვის.

საცხოვრებლის ხარჯი შესაძლოა იყოს მუნიციპალიტეტის მიერ სრულად ან ნაწილობრივ გაწეული ხარჯი ან საჯარო-კერძო თანამშრომლობის ფარგლებში მუნიციპალიტეტის მიერ გაწეული ხარჯი ან ამ ხარჯის გაწევის აღებული ვალდებულება. ხარჯი გამოითვლება როგორც წმინდა ხარჯი ანუ დანახარჯებს გამოკლებული შემოსავლები. ხარჯად განიხილება გაცემული გარანტია, რომელიც გარკვეული ალბათობით შესაძლოა გადაიქცეს ფისკალურ ვალდებულებად.

მუნიციპალიტეტის ხარჯად განიხილება მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების (მ.შ. მიწის) უსასყიდლოდ ან საბაზრო ფასზე ნაკლებ ფასად გადაცემა. ხარჯი გამოითვლება როგორც სხვაობა საბაზრო ღირებულებასა და მიღებულ შემოსავალს შორის.

თემა VII - გარემოს დაცვა

ქალაქის ტიპის დასახლებებისთვის, გარემოს დაცვა ერთ-ერთ ფუნდამენტურ საკითხს წარმოადგენს. ჯანსაღი, ეკოლოგიურად სუფთა გარემო უზრუნველყოფს ადამიანს სუფთა ჰაერით, წყლით და რეკრეაციული რესურსით, იცავს მას ისეთი დამაზიანებელი ფაქტორებისგან, როგორიც არის ხმაური, ურბანული „სითბოს კუნძულები“, სტრესი, დაავადებები და ა.შ. აქედან გამომდინარე, გარემოსდაცვითი პოლიტიკის ინტეგრაციას ქალაქების მართვის სხვადასხვა სფეროში განსაკუთრებული დატვირთვა აქვს. ასევე დიდი როლი აქვს მოქალაქეების ჩართულობას გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებების მიღების

პროცესში, რაც უზრუნველყოფს შესაბამისი სახელმწიფო სტრუქტურების გამჭვრივალობას. ქალაქებში, გარემოს დაცვა მოიცავს შემდეგ საკითხებს:

- *ჰაერის დაბინძურება ქიმიური და ბიოგენური ტოქსიკური ელემენტებით:* ურბანულ არეალებში ჰაერის დაბინძურების ძირითადი წყაროებია – ავტოტრანსპორტი, სამრეწველო და სამშენებლო ობიექტებზე გამოყენებული შიდაწვის ძრავები, ამავე ობიექტებიდან წარმოების პროცესში გამოყოფილი მტვერი, ჭვარტლი და სხვ. ჰაერის მდგომარეობა პირდაპირ კავშირშია ადამიანის ჯანმრთელობასთან. მისი მძიმედ დაბინძურების შემთხვევაში, იმატებს რესპირატორული და გულ-სისხლძარღვთა დაავადებების შემთხვევები. ასევე უნდა აღინიშნოს, ქალაქის განაშენიანებულ ნაწილში და მასთან უშუალოდ მიმდებარე ტერიტორიებზე სამშენებლო – სამრეწველო ნარჩენების და არალეგალური ნაგავსაყრელების განთავსების ადგილების არსებობა. აღნიშნული ადგილებიდან ნარჩენების ლპობა – გახრწნის შედეგად წარმოქმნილი ტოქსიკური ნაერთები ნიადაგისა და ზედაპირული წყლების დაბინძურების მნიშვნელოვანი წყაროა.
- *ქალაქის სანიაღვრე და საკანალიზაციო სისტემების მდგომარეობა* - გულისხმობს ქალაქში და მის შემოგარენში არსებულ მდინარეთა აუზებში სუფთა, სანიტარული მდგომარეობის შენარჩუნებას, რაც პირდაპირ აისახება წყლის მდგომარეობაზე და დაავადებათა გავრცელების რისკზე. აუცილებელია ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობების მოწყობა, რათა აღმოიფხვრას საზოგადოებრივი და სამრეწველო ობიექტებიდან ფეკალური წყლების ჩადინება მდინარეებში.
- *ბუნებრივი კატასტროფების პრევენცია:* მაღალურბანიზებული არეალებისთვის სტიქიური მოვლენები ხშირად კატასტროფულ ხასიათს ატარებს, რაც, ძირითადად, გამოწვეულია ქალაქისა და მასთან უშუალოდ მიმდებარე ტერიტორიების ეკოსისტემებზე (პირველ რიგში, რელიეფზე და ბუნებრივ მცენარეულ საფარზე) არასწორად წარმართული სამეურნეო საქმიანობის გავლენით. გაზრდილი ტექნოგენური ზეწოლა მდინარეთა წყალშემკრებ აუზებზე არაერთი სტიქიური პროცესის მაპროვოცირებელი ფაქტორია. ბუნებრივი კატასტროფების პრევენცია მოიცავს ადრეული შეტყობინებების სისტემების განლაგებას მდინარეთა აუზებზე, თუ მეწყერსაშიშ არეალებში, სააუზო მართვის პრინციპის დანერგვას ქალაქის დაგეგმარების პროცესში და ა.შ.
- *„მწვანე სივრცის“ განვითარება:* „მწვანე სივრცის“ განვითარება მოიცავს ქალაქის მწვანე საფარის განვითარების ხედვის შემუშავებას; ცალკეული უბნებისთვის ე.წ „მწვანე გეგმების“ პრაქტიკის დანერგვას; ურბანული მებაღეობის პოპულარიზაციას მოსახლეობაში; ქალაქის კლიმატისთვის შესაფერისი ხე-მცენარეების დარგვას და ადგილობრივი ლანდშაფტისთვის დამახასიათებელი ბიომრავალფეროვნების ხელშეწყობას; ქალაქის შემოგარენში არსებული ბუნებრივი ლანდშაფტების დაცვას, მათი რეკრეაციული ფუქნციით დატვირთვას.

- *ეკოსისტემური სერვისების განვითარება* მოიცავს გარემოს რეგულატორული სერვისების, როგორებიცაა: კლიმატის რეგულაცია და ნახშირბადის სექვესტრირება, წყლისა და ჰაერის გაწმენდა, მავნებლებისა და დაავადებების კონტროლი.

თემა VIII - კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა

აღნიშნული თემა მოიცავს ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრულ ექსკლუზიურ უფლებამოსილებებს კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის მიმართულებებით. მუნიციპალიტეტის ექსკლუზიური უფლებამოსილებებია: ადგილობრივი თვითმყოფადობის, შემოქმედებითი საქმიანობისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და განვითარება; ადგილობრივი მნიშვნელობის კულტურის ძეგლთა მოვლა-შენახვა, რეკონსტრუქცია და რეაბილიტაცია; მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული ბიბლიოთეკების, საკლუბო დაწესებულებების, კინოთეატრების, მუზეუმების, თეატრების, საგამოფენო დარბაზებისა და სპორტულ-გამაჯანსაღებელი ობიექტების ფუნქციონირების უზრუნველყოფა და ახალი ობიექტების მშენებლობა. ექსკლუზიურ უფლებამოსილებათა გარდა თემა ერთიანდება მუნიციპალიტეტის ნებაყოფლობითი უფლებამოსილებების ნაწილში განსაზღვრული უფლებამოსილებები ადგილობრივ დონეზე ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების ხელშეწყობის, მასობრივი სპორტის ხელშეწყობის მიმართულებებით, აგრეთვე ყველა ის უფლბებამოსილებები რომლის გადაწყვეტაც საქართველოს კანონმდებლობით არ არის ხელისუფლების სხვა ორგანოს უფლებამოსილება და აკრძალული არ არის კანონით.

უფრო დეტალურად, პროექტის მიზნებისთვის კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის პოლიტიკა გულისხმობს შემდეგს:

- *თეატრალური ხელოვნების განვითარების ხელშეწყობა:* მოიცავს თეატრების რეაბილიტაციას, მატერიალურ-ტექნიკურ მხარდაჭერას, თეატრალური ფესტივალების მხარდაჭერას.
- *სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა* მოიცავს სახელოვნებო განათლების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების მხარდაჭერას, მათ შორის: სახელოვნებო განათლების არამოთხოვნადი სპეციალობების (ქართული ხალხური საგუნდო და მუსიკალური საკრავები - სასულე და სიმფონიური ორკესტრების - ვიოლინო, ვიოლენჩელო, ჩელო, კონტრაბასი, არფა, ფლეიტა, კლარნეტი, ვალტორნა, საქსაფონი, საყვირი, დასარტყამი ინსტრუმენტები, ტრომბონი და სხვა) შენარჩუნების მიზნით. ახალი სასწავლო პროგრამის შემუშავებას, ტრენინგებს, ვორქშოპებს, სემინარებს, კონფერენციებს, სასწავლო ტურებს, სახელოვნებო სკოლების დათვალიერება-ფესტივალებს და სხვა ღონისძიებებს
- *ადგილობრივი მნიშვნელობის მუზეუმების განვითარება და პოპულარიზაცია* მოიცავს მუზეუმების გაერთიანების მოვლა-პატრონობას და სრულყოფილი ფუნქციონირებისათვის შესაბამისი პირობების შექმნას, მუზეუმების საგამოფენო-

საექსპოზიციო საქმიანობის გააქტიურებას კულტურულ-საგანმანათლებლო ფუნქციების განვითარებითა და გაძლიერებით. მუზეუმების პოპულარიზაციის და განვითარების ხელშემწყობი პროექტების მხარდაჭერას.

- *ხელოვნებისა და კულტურის ობიექტის განვითარება* მოიცავს თანამედროვე მუსიკალური ხელოვნების პოპულარიზაციას, ქართული ფოლკლორის დარგების შესწავლას და პოპულარიზაციას, პანთეონების მოვლა-პატრონობას და პოპულარიზაციას, მუნიციპალური კულტურის დაწესებულებების სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარებას ტექნიკური აღჭურვას, კულტურის ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის.
- *კულტურის ღონისძიებები* ითვალისწინებს სახელმწიფო, სახალხო, რელიგიური დღესასწაულებისა და სხვა საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებების აღნიშვნას, საერთაშორისო ფესტივალების ჩატარებას.
- *სპორტის განვითარების ხელშეწყობა* მოიცავს, თბილისში სპორტის სხვადასხვა სახეობების განვითარება-პოპულარიზაციას, თბილისის ნაკრების, ეროვნული და ასაკობრივი გუნდების მზადებას და მონაწილეობას საერთაშორისო და ადგილობრივ სპორტულ ღონისძიებებში. სპორტული მოედნების მშენებლობა, რეკონსტრუქციას, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებას. წარმატებული სპორტსმენი ბავშვების წახალისებას.
- *ახალგაზრდული ღონისძიებები* მოიცავს ახალგაზრდების სხვადასხვა სოციალურ ჯგუფისთვის შესაძლებლობის მიცემას საკუთარი შესაძლებლობებისა და უნარების რეალიზებისა და გაუმჯობესების მიმართულებით. ასევე, გათვალისწინებულია თბილისის ახალგაზრდული ცენტრების გაერთიანების საქმიანობის ხელშემწყობი ღონისძიებები და სხვა.
- *კულტურის სფეროს განვითარების ხელშეწყობა* მოიცავს თბილისის, როგორც კულტურის რეგიონული ცენტრის პოპულარიზაციას - ლოკალურ და საერთაშორისო ინიციატივებში ჩართვას, მსოფლიოს სხვადასხვა ქალაქებთან კულტურის საკითხებში თანამშრომლობას ახალი სტრატეგიის შემუშავებისა და ინოვაციური პროექტების განხორციელების გზით.